ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6497425

ნომერი: AR1959768

თარიღი : 07.04.2023

გაცემის თარიღი : 07.06.2023

გაცნობის თარიღი : 07.06.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაია პ/ნ 37001058879
- თბილისი, ყიფშიძის 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 7 აპრილის №AR1959768 განცხადებით მომართა სერგო გიორგაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის №6313364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 18 აპრილის №6419602 ბრძანებითა და 2023 წლის 15 მაისის №6459121, 2023 წლის 17 მაისის №6465087 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ, ისევ არ არის ხარვეზები სრულად გამოსწორებული, მაგ.: ამჯერად წარმოდგენილ იქნა, ისევ შეცვლილი ავტოსადგომის მაჩვენებელი, რომელიც შეუსაბამოა წარმოდგენილ გეგმებზე დატანილ ავტოსადგომის ფართობების ჯამურ მაჩვენებელთან; +3.8 ნიშნულის გეგმაზე №103 საოფისე ფართობზე გამოტანილ შტამპზე, ისევ „კომერციულია“ დაფიქსირებული. აგრეთვე, წარმოდგენილი და შეთანხმებული გეგმები, კვალავ შეუსაბამოა ერთმანეთთან, მაგ.: -3.10 ნიშნულზე „11-12“ მონაკვეთსა და „C-D” ღერძებში შეცვლილია გეგმარება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული გასწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის არაერთი გადაწყვეტილებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 7 აპრილის №AR1959768 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.